ლალი ჭითანავა
ფილოლოგიის დოქტორი

ევროპული მასკარონები და დადიანების სასახლე

აბსტრაქტი

ნაშრომი მიზნად ისახავს მასკარონების – არქიტექტურული და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი გამორჩეული ელემენტის – კვლევას დადიანების სასახლის ავეჯისა და ინტერიერის კონტექსტში. კვლევის ამოცანაა გამოიკვეთოს, როგორ ასახავს ეს დეკორატიული ფორმა სხვადასხვა ეპოქის ესთეტიკასა და სიმბოლურ მნიშვნელობებს, და რა დატვირთვა აქვს მას საქართველოს კულტურულ სივრცეში, კონკრეტულად, სამეგრელოს სამთავროს არისტოკრატთა ცხოვრებაში.

მეთოდოლოგიურად ნაშრომი ეფუძნება ინტერდისციპლინურ ანალიზს: არქიტექტურული, ხელოვნებათმცოდნეობითი და კულტუროლოგიური წყაროების შედარებით შესწავლას, ასევე დადიანების სასახლეთა მუზეუმში დაცული ექსპონატების უშუალო აღწერასა და სტილისტიკურ ინტერპრეტაციას. ყურადღება გამახვილებულია როგორც ევროპული ბაროკოსა და როკოკოს გავლენებზე, ისე ადგილობრივ კულტურულ ადაპტაციაზე.

საკვლევი კითხვებია: რა ესთეტიკურ და სიმბოლურ დატვირთვას ატარებენ მასკარონები დადიანების სასახლის ავეჯსა თუ ინტერიერში? როგორ აისახა ევროპული არქიტექტურული და დეკორატიული ტენდენციები სამეგრელოს არისტოკრატიულ გარემოში? რა კულტურულ-სოციალურ ფუნქციას ასრულებდნენ მასკარონები როგორც ინტერიერის, ისე ექსტერიერის კონტექსტში?

კვლევის შედეგად დგინდება, რომ მასკარონები არა მხოლოდ დეკორატიულ-ესთეტიკური ელემენტებია, არამედ წარმოადგენს კულტურულ ნიშნებს, ასახავს ძალაუფლების, აკავშირებს საკრალურსა და ყოფითს. ისინი გამოხატავენ როგორც მითოლოგიურ-რელიგიურ შრეებს (ლომი, არწივი, მედუზა), ისე მოდერნისტული პოეტურობისა და იდუმალების ასპექტებს. ევროპული ორნამენტული ტრადიციების გადმოტანამ ქართულ არისტოკრატიულ ავეჯში შექმნა უნიკალური სინთეზი, რომელიც ერთდროულად გამოხატავს დასავლურ დიდებულებასა და ადგილობრივ კულტურულ თვითმყოფადობას. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასკარონები დღესაც წარმოადგენს ცოცხალ მატიანეს, რომელიც გვამცნობს როგორც ეპოქის გემოვნებასა და კულტურულ ფასეულობებს, ისე მისი შემქმნელთა და მფლობელთა სულიერ სამყაროს.

საკვანძო სიტყვები: *დადიანების სასახლე, მასკარონები, ევროპული ავეჯი, სეკრეტერები*

Lali Chitanava
Doctor of Philology

EUROPEAN MASCARONS AND THE DADIANI PALACE

აბსტრაქტი

The present study explores the role and significance of mascarons—architectural and decorative sculptural elements—in the context of the Dadiani Palace furniture collections. The primary aim is to analyze the aesthetic, symbolic, and cultural functions of mascarons as both protective emblems and markers of aristocratic taste, situating them within the broader framework of European artistic traditions and their local adaptation in nineteenth-century Georgia.

Methodologically, the research employs an interdisciplinary approach, combining art-historical, cultural, and stylistic analysis with close examination of surviving artefacts preserved in the Dadiani Palace Museum. Particular emphasis is placed on the influence of Baroque and Rococo ornamentation, as well as on the ways in which European motifs were integrated into the aristocratic environment of Samegrelo.

The study is guided by the following research questions: What symbolic and aesthetic functions do mascarons fulfill within the furniture and interior design of the Dadiani Palace?In what ways did European decorative trends shape the material culture of the Georgian aristocracy?How do mascarons reflect both universal mythological symbolism and the cultural specificity of their local context?

The findings suggest that mascarons operated not merely as decorative embellishments but as cultural signifiers that mediated between the sacred and the profane, embodying power, protection, and aesthetic refinement. Their presence demonstrates a synthesis of European monumental styles with Georgian aristocratic identity, thus positioning the Dadiani Palace collection as a unique testimony to transcultural exchange. Ultimately, mascarons serve as enduring witnesses of historical memory, encapsulating both the grandeur of aristocratic life and the symbolic imagination of their creators.

Keywords: *Dadiani Palace, mascarons, European furniture, secretaries*

მასკარონები, ადამიანის სახის ან ცხოველის თავის გამოსახულებიანი, უკანა მხრიდან ჩამოჭრილი და ბრტყელ ფუძეზე მიდგმული სკულპტურული მოსართავებია. მასში წარმოდგენილია მამაკაცების, ქალების, ბავშვების, ახალგაზრდებისა თუ

ხანდაზმულების თავები, ასევე ანტიკური პერსონების თავის ასლები, თეატრალური ნიღბები. „ხშირად ადამიანთა სახეები ინდივიდუალიზებულები, ცოცხალნი და უშუალონი არიან. ზოგჯერ კი ადგილობრივი ეთნიკური ნიშნის მატარებელნიც. მათი სახეები უაღრესად მეტყველია: ხან პირქუშნი და მრისხანენი, ხან მომღიმარნი და მხიარულნი, ხან ჩაფიქრებულნი და მწუხარენი"- წერს ხელოვნებათმცოდნე ირინა ძუცოვა თავის ნაშრომში „ძველი თბილისის სკულპტურულ-ორნამენტული დეკორი" [ძუცოვა 1987:72-80]. ის ძირითადად ეხებოდა თბილისის არქიტექტურაში გამოყენებულ ამ დეტალებს. ავტორი ნაშრომში აღნიშნავს, რომ „თბილისის არქიტექტურაში მასკარონი მე-19 საუკუნიდან ჩნდება. ისინი განსაკუთრებულ მისტიკურ იერ-სახეს სძენენ დედაქალაქის ძველ შენობებსა და სადარბაზოებს. მასკარონების სახეები სხვადასხვა ემოციას გადმოგვცემენ: დრამატულს, საშიშს, შეძრწუნებულს, ჩაფიქრებულსა თუ განრისხებულს". [ძუცოვა 1987:72-80]. როგორც ამბობენ, მასკარონები გუშაგობენ შენობებს და იცავენ მათ ავი თვალისგან, ზოგჯერ მოსალოდენ უბედურებასაც კი აარიდებენ, ვინაიდან მათი სახეებიდან იკვეთება სიმტკიცე და მამაცობა.

მასკარონების ერთი ჯგუფი აერთიანებს ზღაპრულ-ფანტასტიკურ არსებებს – გრიფონებსა და მათ მსგავს გამოსახულებებს. უდიდესი ნაწილი ლომების, ლეოპარდების, ძაღლების, კატების, არწივებისა და სხვათა რეალისტური გამოსახულებებია, მაგრამ ასევე დიდი რაოდენობითაა ბერძნულ-რომაული მითოლოგიის პერსონაჟების სახეები, ასე მაგალითად: დიონისე, ღვინისა და ვენახის კულტურის გამავრცელებელი ღვთაება, რომელსაც თავი დამშვენებული აქვს ვაზის გვირგვინითა და ფიჭვის გირჩით (ეს უკანასკნელი ნაყოფიერების სიმბოლოა-ლ.ჭ.); ათენა – სიბრძნის ქალღმერთი, მეცნიერებისა და ხელოსნობის მფარველი, გამოსახულია შუბითა და ეგიდით; მედუზა გორგონა – თმაში გველებით; გველვეშაპშემოხვეული ლაოკოონი; სატირი – დიონისეს თანმხლები, ადამიანის ნაკვთებითა და მხეცის ყურებით; ფლორა – გაზაფხულის ქალღმერთი, ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელსაც თავი ყვავილებით აქვს შემკული და სხვა პერსონაჟები. მათ გამოყენებას ხელოვნებაში ანტიკური ფესვები რომ გააჩნია ეს ადრეული პერიოდის ძეგლებს და შემდგომი პერიოდის ყოფით ნიმუშებს თვალნათლივ ეტყობა. ამისი თვალნათელი მაგალითია საკულტო მიზნებისთვის გამოყენებული მასკარონები დიდებულ შენობეზე და ტაძრებზე, რითაც დამშვენებული იყო ძველი საბერძნეთი, რომი და შუა საუკუნეების გოტიკა [ლინდერმანი გ., ბეკჰოპი ჰ., 1992:25-30, 112-115]. ირინა ძუცოვას მიხედვით, „მასკარონების გროტესკული სამყარო გამსჭვალულია კარნავალური სულიკვეთებით, მაგრამ შეუძლებელია მათში არ დაინახოს ახლის მფარველი სიმბოლოები და ნიშნები, რომლებიც ბოროტ სულებს აფრთხობენ. არ დაინახო ფხიზელი და ძლიერი გუშაგები, მამაცობისა და ვაჟკაცობის სიმბოლოები: მასკარონები – შინაური ცხოველები, მასკარონები – მხეცები, შეიძლება აღვიქვათ, როგორც სახლისა და მის ბინადართა კეთილი სულები. ლომი – მიწიერი მბრძანებლობის იდეალი, ნათლისა და ბნელის რთული სიმბოლო, არწივი – ზევსის ფრინველი, ხარი და ძაღლი – ადამიანის სულის სიმბოლოები. მგელი აპოლონის კულ-

ტთან იყო დაკავშირებული, ტახი – ნაყოფიერებასთან და ა.შ. [ძუცოვა 1987:72-80].

მასკარონებში ქალთა სახეებს ხელოვნებათმცოდნე დავით ხოშტარია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან აქ ვლინდება მოდერნისათვის დამახასიათებელი იდუმალება, სინაზე, პოეტურობა, სიყვარული, მგრძნობელობა. ქვის ლითონისა თუ თაბაშირის ეს არსებები დღემდე სახლობენ ძველ თბილისში და ინახავენ ქალაქის სულს. აღნიშნული ელემენტების დამკვიდრება მე-19 საუკუნიდან იწყება და ეს „მოვიდა ევროპიდან, ამას ნახავთ პარიზში, ბერლინში, ვენაში... და მოიტანა ე.წ. ბაროკოულ-რენესანსულმა ეკლექტიზმმა, რომელიც სწორედ ამ სტილის დამახასიათებელი თვისებაა. ასე რომ თბილისური საფასადო ქანდაკება არსებითად მთლიანად არის დაკავშირებული ახალ „ევროპულ" ქალაქთან" [ხოშტარია დ., www.gch-centere.ge. 2020., ჯიმშერ რეხვიაშვილის ბლოგები. www.radiotavisufleba.ge 2020].

არქიტექტურის გარდა, მასკარონებს იყენებენ ხელოვნებასა და ხელოსნობაში: ჭურჭელზე, თეფშზე, სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო ნივთებზე. იტალიის რენესანსის, ფლამანდიური ბაროკოს ნახატებსა და ორნამენტულ გრავიურებში. ასევე ლუი მე-14-ის, ფრანგული „გრანდიოზული სტილის" ე.წ. რეგენტობის სტილის არქიტექტურაზე, როგორც დიდებულების სიმბოლო. მასკარონები ისევე როგორც ჰემერმები, ტელამონები, ამშვენებს რენესანისა და ბაროკოს ავეჯს. [ლინდერმანი გ., ბეკ-ჰოპი ჰ., 1992:25-30, 112-115]

არქიტექტურაში მასკარონი მე-17 საუკუნეში იტალიაში გაჩნდა, შემდგომ ევროპის სხვა ქვეყნებში გავრცელდა. თავდაპირველად ავი სულების შესაშინებლად იქმნებოდა, თუმცა, ესთეტიკური სილამაზე და ვიზუალური დიდებულება არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მასკარონი ქვის სკულპტურული დეკორაციაა, მას არანაკლები დატვირთვა ჰქონდა ავეჯზე. ბაროკოსა და რენესანსული სტილის ავეჯი დამშვენებულია მასკარონებითა და გრიფონებით. მიუხედავად იმისა, რომ იმჟამინდელი არქიტექტურის შესაბამისად ავეჯი მძიმეა და მონუმენტური, მასზე გამოსახული მასკარონები ამ სიმძიმეს ატარებენ და მონუმენტურობით გამოირჩევიან.

მასკარონების სამყარო გროტესკულია, გამსჭვალული კარნავალური სულისკვეთებით, სადაც აშკარად ჩანს მფარველი სიმბოლოები, რომლებიც ბოროტ სულებს აფრთხობენ და ძლიერი გუშაგები არიან: მასკარონები – შინაური ცხოველები, მასკარონები – მხეცები და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ, ტერმინი მასკარონი მე-17 საუკუნეში გამოიყენეს და ეს გროტესკული გამოსახულებები, რაიმე ან ვინმე არარეალურის რეპრეზენტაცია გახლდათ. მე-19 საუკუნიდან ევროპული გავლენით დაიწყო საქართველოში მისი გამოყენება, პირველ რიგში ეს გამოჩნდა სამოქალაქო არქიტექტურაში ქანდაკოვანი და ნაძერწი ელემენტების დამკვიდრებით და როგორც აღვნიშნეთ, მათი ფუნქცია ავი სულების შეშინება იყო. მოგვიანებით მასკარონებით ავეჯისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების დამშვენება დაიწყეს. ეს ესთეტიკურად დიდებული სანახავი იყო და

ფუნქციური დატვირთვაც მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ. კერძოდ, თუ შენობის ფასადზე მასკარონი ავი სულისგან იცავდა სახლს, უკვე შიგნით ავეჯზე მისი გამოჩენა უფრო დიდებული და ამავე დროს სიმშვიდის მომგვრელი იყო, თუმცა ძირითადი ფუნქცია, ავი სულებისგან დაცვა, ამ შემთხვევაშიც აქტუალური გახდათ. ასე, რომ მასკარონები უკვე შენობის შიგნითაც უხვად არსებობდნენ.

დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმში დაცული ავეჯის კოლექციის ექსპონატები მოდური, სხვადასხვა ფერისა თუ ჯიშის ხის ნატიფად მოპირკეთებული ავეჯითაა დამშვენებულია; სკამები, კარადები, ტუმბოები, მაგიდები, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს უფრო ნაკლებად ფუნქციური, რადგან დეკორატიული მნიშვნელობა დიდად თვალში საცემია და გამიზნულია სიამოვნებისათვის, თვალის გასახარად, უხვად მოჩუქურთმებულია [ძუცოვა1987:72-80]

სამეგრელოს სამთავროს მმართველ დადიანებს საკმაოდ კარგი ურთიერთობა და ნათესაობა აკავშირებდათ საფრანგეთთან. ევროპული სტილი განუყოფელი ნაწილი იყო სასახლის ცხოვრებისა [ლინდერმანი გ., ბეკჰოპი ჰ., 1992:25-30, 112-115]

დავით დადიანი, მისი მეუღლე ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი და მათი შვილები, ევროპულ განათლებას ზიარებულნი, ამ გავლენით აწყობდნენ თავიანთ საცხოვრისს; სალომე დადიან-მიურატსა და აშილ მიურატს მემკვიდრეობითაც ერგო ნაპოლეონ ბონაპარტის ავეჯის ნაწილი, დამშვენებული საოცარი მასკარონებით. უნდა აღინიშნოს ის, რომ დადიანები ავეჯს სპეციალურადაც უკვეთავდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნების სახელოსნოებს, (იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, ინგლისი). შესაბამისად სამეგრელოში ინერგებოდა საუკეთესო ევროპული ტრადიციები [ბერაია ლ., კალანდია გ. 2010:6-10, 110-127, 138-154]

ამჟამად ვისაუბრებთ სასახლეში დაცულ დადიანების მიერ ევროპაში შეკვეთით დამზადებულ ავეჯზე, რომელთაც თან სდევდა ევროპული სიუდუმლეობანი მასკარონების სახით. პირველ ეტაპზე გამოვყოთ სკამებსა და სავარძლებს:

სკამები ვენური სტილით დამზადებული, დაწნული საზურგით, სადაც ორივე მხარეს გამოსახულია მასკარონები, მითიური ფიგურების გამოსახულებით, რომლებიც ნატიფად ჩასმულია დახვეწილ ხაზებსა და გრაფიკულ სილუეტებში, მიუხედავად იმისა, რომ ფორმა მსუბუქი და უბრალოა, მასკარონების მინიმალიზმიც ხაზგასმულია, და მაინც მათი დიდებულება გამორჩეულია.

როკოკოს სტილით დამზადებული სკამები დატვირთული ჩუქურთმებით, სადაც საზურგეზე მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ ლომი-მასკარონები, სიმშვიდისა და დიდებულების სიმბოლოები.

სკამები ბაროკოს სტილის, ნატიფად დამაგრებული ლითონის ღილებით, დამშვენებული ჩუქურთმებით და საზურგეზე, მასკარონები, მითური ფრინველების გამოსახულებით.

სკამებს შორის გამორჩეულია ეკატერინე ჭავჭავაძის კოლექციიდან, ბაროკოს სტილის სკამ-სავარძელი, რომელსაც საზურგეზე აქვს სამთავრო გვირგვინი და წარ-

წერა ასომთავრულით „ეკატერინე“. ამ ავეჯის მშვენება კი გახლავთ მინიმალური, მაგრამ საოცრად დახვეწილი ჩუქურთმები, გრიფონის ფორმის პატარა სამშვენისები, და ორი მასკარონი, ანგელოზის გამოსახულებით.

სავარძელები ბაროკოს სტილის, დამშვენებული ფოთლოვან-ყვავილოვანი ჩუქურთმებით, საინტერესო ორნამენტებით, რომელთა შორის ნატიფად არის ჩამალული მასკარონთა სიდიადე, რა თქმა უნდა ლომების სახით. და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დადიანთა ავეჯის კოლექციის მასკარონთა შორის ლომების ფიგურები უპირატესია. ეს კი უძლეველობის, სიდიადისა და სიმშვიდის სიმბოლოა, რაც დადიანებისთვის მეტად შესაფერისი ეპითეტია.

საინტერესო ხაზს ქმნიან კოლექციის მაგიდები, რომელიც ბაროკოსა და როკოკოს სტილისაა, დამზადებული სპეციალური შეკვეთით, გამორჩეული მონუმენტურობითა და დიდებულებით, დამშვენებული გამოყვანილი ფეხებითა მდიდარი მასკარონებით, რომელთა გამოსახულებებში ჭარბობს მითიური პერსონაჟები, და განსაკუთრებული ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტები, რომელთა ცენტრშიც ლამაზად მოთავსებულია მთელი კასკადი მითური გამოსახულებებისა.

ავეჯის კოლექციაში გამოყოფილია ბულეს სტილის მაგიდები და ტუმბოები. რომელიც დამშვენებულია ოქროსფრად დამუშავებული მდიდრული მასკარონებით, მათ შორის ჭარბობს მითური პერსონაჟების ნიღბები და ანგელოზების გამოსახულებები. მათი დიდებულება თვალშისაცემია და ნამდვილად ემსახურება კეთილი სურვილების სადარაჯოს.

დადიანების სასახლეში დაცულ კოლექციებს შორის მასკარონების სიუხვით ნამდვილად გამორჩეულია სამონადირეო პასაჟებით დამშვენებული კარადა, რომლის სიმდიდრე მართლაც მრავალფეროვანი მასკარონებია, ცენტრში მითური მხეცი-კაცის გამოსახულებით, რომელსაც გვერდებს ლომების სკულპტურა უმშვენებს; ქვედა და ზედა ნაწილს აერთებს მითური ცხოველის ფიგურა, თაროების კარებზე კი ნანადირევისა და იარაღის ფიგურებია წარმოდგენილი. ხოლო ავეჯის გვირგვინს წარმოადგენს ირმის თავის დიდებული გამოსახულება.

სამონადირეო სტილს აგრძელებს კოლექციის მშვენება დიდი სარკე, რომელიც დამაგრებულია ორკარიან ტუმბოზე. კარების ცენტრში გამოსახულია ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტები, ამავე ორნამენტებითაა დამშვენებული სარკის მთლიანი ჩარჩო, თავზე კი ირმის თავის გიგანტური გამოსახულებაა წარმოდგენილი.

მასკარონების ერთგვარ საინტერესო ციკლს ქმნის დიდი მონუმენტური სარკე, რომლის ჩარჩო სრულად არის დამშვენებული მასკარონი მხეცის ფიგურებით, რომლებიც ორგანულად არიან მოთავსებულნი ფოთლოვან-ყვავილოვან ორნამენტებში. გვირგვინად კი წარმოდგენილია პირქუში მხეცი მასკარონის გამოსახულება მთელი თავისი დიდებულებით. თუ აღვნიშნავთ, რომ ამ ნივთს დადიანები სასახლის შესასვლელში დგამდნენ, ეს შეიძლება აღვიქვათ, როგორც სახლისა და მის ბინადართა კე-

თილი სულები, რომლებიც გზას უღობავენ უღირსთ და თავიანთი ე. წ. დიდებული საშიში პირქუშობით იცავენ სასახლეს ავი სულებისაგან.

ცალკე გამოვყოფთ ორ საყვავილეს, რომელიც როკოკოს სტილისაა, გამორჩეულია თავისი დიდებულებით და ავეჯთა შორის ერთ-ერთი პირველია, იმ მონუმენტურ ექსპონატთა შორის თავის სიმცირით, სადაც უხვადაა გამოყენებული არამარტო ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტები და სამონადირეო სტილი, ხეზე კვეთილობის უბრწყინვალესი ნიმუშებით, არამედ ძალიან ორგანულადაა მოთავსებული მასკარონი ძაღლის გამოსახულება.

სასახლის კოლექციის მშვენებაა კარადა და ტუმბოები ანდრია დადიანის კოლექციიდან, ეს ნივთები ბაროკოს სტილისაა, ორნაწილიანი, უჯრებით და მეტად საინტერესო ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტებითა და გამოკვეთილი მასკარონებით ქალებისა და მამაკაცების, ცხოველებისა და მითური პერსონაჟების გამოსახულებით, ზევით, ცენტრში კი მედიდურად მასკარონი-მხეცის ნიღბით და ასევე საინტერესოა ხეზე კვეთილობით დიდებულად გაკეთებული მინიმალური ხის გრიფონები, რომელნიც სრულიად ავსებენ ავეჯის მთელ ანსამბლს.

სასახლის კოლექციაში განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელია ნაპოლეონ ბონაპარტის ორი სეკრეტერი. ეს ნივთები სხვა მნიშვნელოვან ავეჯთან ერთად სალომე და აშილ მიურატებს ერგოთ მემკვიდრეობით, ვინაიდან აშილ მიურატი გახლდათ ნაპოლეონ ბონაპარტის დის შვილიშვილი.

სეკრეტერები გახლავთ ნაპოლეონ ბონაპარტის კაბინეტის ავეჯი, სადაც ინახებოდა მნიშვნელოვანი დოკუმენტები. ავეჯი ბაროკოს სტილისაა და შესაბამისად დატვირთულია დახვეწილი მასკარონებით და არის ორნაწილიანი. ერთ სეკრეტერს ზედა ნაწილში აქვს შვიდი პატარა უჯრა შუაში კარი, რომელზედაც გამოსახულია მასკარონი პატარა ბიჭუნას შიშველი ფიგურის სახით. მეორე სეკრეტეს ზედა ნაწილში აქვს ცხრა პატარა უჯრა, შუაში კარით, რომელზედაც გამოსახულია მასკარონი პატარა გოგონას ფიგურის გამოსახულებით. საერთო ჯამში სეკრეტერები სრულად დატვირთულია ადამიანის გამოსახულებებით და სხვადასხვა სახის ორნამენტებით, რომლებიც მასკარონების სამშვენისად არის წარმოდგენილი.

ქალები იდუმალი მზერით, მრისხანე ლომები თავიანთი დიდებულებით, ჩვილ ბავშვთა მრგვალი სახეები თუ მთლიანი ტანით წარმოდგენები, ერთგული ძაღლები, ირმები, ლომები, სხვადასხვა ცხოველები და ფრინველები, შთამბეჭდავი იერის მითური პერსონაჟები, პირქუში, ჯოჯოხეთური ძალების სიმბოლურად გამომხატველი არსებები დარაჯად უდგანან დღემდე შემორჩენილ ავეჯს და ადასტურებენ იმ დიდებულებას, რომელიც მათ მშვენებას წითელ ზოლად გასდევს. ეს არის სულიერი და კულტურული ცხოვრების, ყოფის, მცხოვრებთა ნატიფი გემოვნების მაჩვენებელი. დღევანდელობაში კი მასკარონები ისტორიიდან გადმოსული ცოცხალი მატიანის ნიმუშებია.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბერაია ლ., კალანდია გ., დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის გზამკვლევი. თბილისი, 2010.

კალანდია გ., გაძარცული საგანძური, თბილისი, 2006.

ლინდერმანი გ., ბეკჰოპი ჰ., ხელოვნების ლექსიკონი, ტ.1, თბილისი, 1992.

რეხვიაშვილი, ჯიმშერ. რადიო თავისუფლება, ბლოგები. www.radiotavisufleba.ge 2020.

ძუცოვა ი., ძველი თბილისის სკულპტურულ-ორნამენტული დეკორი, საბჭოთა ხელოვნება, № 9, თბილისი, 1987.

ხოშტარია დ., www.gch-centere.ge. 2020 .